

ზინაური საქმეები

შოველკვირული გაზეთი.



№ 1.

კვირა, იანვარი 4, 1909 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით — 2¹/₂ მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპიკით.
ადრისი: ქუთაისი „შინაური საქმეებს“
რედაქცია.

ზინაური: საქართველოს სამღვდლოების დეკემბრის კრებები და გაზეთი „დროების“ მსჯელობა მათ გამო—
სეფეველელისა; საღვდლოების მომდურავს—კინკილეთელისა; აკაკი წერეთელი—ნღვ. მ. კლენჯერიძისა; სა-
ახალწლო მილოცვები—ივერიელისა; ილია ქავთაძე—ხომელისა; ბ. დ. ახვლედიანს—ალექსი ბერის; ზნეო-
ბრივი გადაგვარება—ე. ჩ.—ძე—სა; ქრისტე და ეკლესია (თარგმანი)—მღვ. იოანე ლუკიანოვისა.

რედაქცია უმოზრჩილესად ათხოვს ხელას მომწერთ

წარმოადგინონ 1908 წლის ხეგდრი ფასი.

შოველკვირულ გაზეთ

„ზინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუ-
თაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში
№ 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფა-
სი 4 მან. ნახ. წლით 2¹/₂ მან. ცალკე ნომერი
ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად
ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერ-
ლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

საპარტიველოს სამღვდლოების დეკემბ-
რის კრებები და გაზეთი „დროების“ მსჯე-
ლობა მათ გამო.

მიმდინარე თთვეში სუდიზედ მოჭევა
ერთი მეორეს გურია-სამეგრელოსი, იმე-
რეთისა და ქართლ-კახეთის სამღვდლოე-
ბის საეპარქიო კრებები. გვერდებთ საქარ-
თველოს სამღვდლოებას ზირი ზირს მი-
უცია, საერთო გეგმა შეუმუშავებია და ძე-
ვრიუბული ძაღვით შესდგომია ერთსა და

იმევე დროს თავის საჭირბორბოტო კითხვე-
ბის არგუეებს სხვა და სხვა ეპარქიებშიო!
მაგრამ ეს უბრალო ოცნება, სინამდვილე
არაფერს ამის მსგავსს არ გვიჩვენებს.
კრებები შესდგა ერთსა და იმავე დროს
უბრალო შემთხვევით, გარეშე წინ-და-წინ
განზრახული მიზნისა და სამღვდლოთა
შორის წინ-და-წინ დადებული ზირობა-
თანბირისა. თვითეულ კრებას თავის სა-
კუთარი კითხვები ჰქონდა წამოყენებული
და, როგორც ვახუტებმა უკვე ანუხსნეს,
ერთი მეორესგან დამოუკიდებლად გაუ-
ძღვნენ მათ.

ძარბაღიან, არაფერი გმირული, ზვე
ულეობრივზე უმაღლესი და ეკლესიის არ-
სეიული ცხოვრების მიმდინარობის ძირი-
თადი შემცველი არა დაუდგენია რა არც
ერთ შემო აღნიშნულ სამღვდლოების კრე-
ბას, მაგრამ სხვა რომელი უნდასი რა-



მელი საზოგადოებრივი ჯგუფი ან წოდება მოქმედობს ჩვენ დროში გოლიათურად, რომ ასეთი მოთხოვნები დაუდგინოთ სამღვდულოებს!

უსამართლო და გულღვარძლიანი უნდა იყოს კაცია, რომ არაფრად ჩაუთვალოს, თუ გინდ გუნია-სამეგრელოს სამღვდულოებს ისეთი დადგენილებები, როგორიც არიან, მაგალითად, ქართულ ენაზე სწავლებას საეკლესიო საგნებისა სასულიერო სასწავლებლებში, საკუთარი სტამბის შემენა ხალხში იაფ ფასიან წიგნების მოსაფენად, მშური სამსჯავროების შემოღება ერთი-მეორის განსასწორებლად, მიუხედავად საკუთარი მწარე გაჭირვებისა, საბი სტიჰენდიის დანახება მკირფანის მგოსან ავაკი წერეთლის პატივისცემის ნიშნად და სხვა ამგვარები. ბევრი რამ საგულიანსა და ქვეყნისათვის სასიკეთოსა ზრეთვე ქართლ-კახეთის სამღვდულოების დადგენილობებში.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ დღემდის არა ისმის რა—რა კანონი იმერეთის სამღვდულოებამ. სხვა დროს იმერეთის სამღვდულოებს ზირველობდა სოლმე ამ გვარ საქმეებში და დღეს რა დაეძრთა, რა წელგაება ვათახა, რათ ჩაუყენებია ზირში წვალი, ვერ მივხვედრივართ? ჩვენი ეკლესიის მდგომარეობა მოითხოვს, რომ სამღვდულოებს შეეკავშირდეთ, შევდუღდეთ, შევსისხლხორცდეთ ერთმანეთში და შეუდრეკელი მუჟათობით დაუდგეთ მას (ეკლესიას) დარაჯებად ფიქრით, სიტყვით და საქმით. ხმის მოუღებლობა, გა-

უჩრია და საუარს უკან ამოჯდობა ჩვენს მდგომარეობაში შეუწინარებელია, ამიტომ გულის ფანცქალით მოველით, რომ ჩვენი ძმები,—იმერელი მღვდლები,—გვანახობებენ, რამ დაუძალა მათ კვლავინდებურად ხმის ამცლლება მშობელი ეკლესიის საკეთილდღეოდ, როდესაც ასე საჭირო და აუცილებელია საქმის ვითარებისათვის მათი მედგარი მოქმედება...

სულ გადაბრუნებული თვალითა სედავის ისრით უეურებს გახეთი „დროება“ ჩვენი სამღვდულოების კრიტიკას. სხვებზე გახეთს დეკემბრის 21 რიცხვის ნომერში მიუძღვნია მთელი მოწინავე წერილი ქართველი სამღვდულოების კრიტიკისათვის თბილისში. სინაზობით გადავიკითხე წერილი ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ და ვერ გავიგე, რისთვის დასჭირვებია გახეთს ჭკუაზე შემლილი ადამიანის ბოდილის დაბეჭდვა და ისიც მოწინავე წერილათ! ეოველი სიტუგა წერილისა აბსურდია, ეოველი წინააღმდეგა წარმოადგენს უვიცობის მორევს, ეოველ ჰქვარში აუცილებლად წინაწედებით უგუნურობას. ავიღოთ სანბიშუოდ თუგინდ ეს სიტუგები:

„ის სარწმუნოება, რომლის კარმე მოც ესლანდელი ქართველი სამღვდულოება სცდილობს მრეულის მოგროვებას, ბუნებრივის თუ ხელოვნურის მიხეხების გავლენით, მოსპობილია, ამ სარწმუნოებას სიცოცხლის გზა უკვე მოჭრილი აქვს“.

ახლა ვკითხოთ ერთი ამ უცნაურ და ასირებულ ფილოსოფოსს რა ჰქვია

სასულად იმ სარწმუნოებას, რომლის გარშემოც ესლანდელი ქართველი სამღვდლოება სცდილობს ძრეველის მოგროვებას? რაზეა დაძვარებული ის სარწმუნოება? რა შეადგენს მის მინაარსს, მის არსებას?


არ ვიცი რას გვიპასუხებს ამასე უმაგალითო კალმოსანი, მაგრამ მე, როგორც ქართველი მღვდელი, მოვანსენებ, რომ ის სარწმუნოება, რომლის გარშემოც ვცდილობთ მე და ჩემი თანამომხეები ძრეველის შეგროვებას არის ქრისტიანობა; ქრისტიანობა დაძვარებულია ქრისტე მაცხოვრის ღვთაებრივ მოძღვრებაზე, ქრისტიანობის მინაარსს შეადგენს იესო ქრისტეს დაუძველებელი, უკვდავი და სამარადისო სახარება! აი ამ სარწმუნოების შეტანა გავსურს უკუდმართობისაგან ავერანებულ მშობელ ერის გონებაში, ამისთვის გადავივიღებოთ თავები, ამას უნდა ვანაცხადოთ ჩვენი ჯანი და ღირსე, ჩვენი გული და გონება, ჩვენი სწავლა და კეთილდღეობა. გარეშე ამისა ჩვენ არც სურვილი გვაქვს და არც შეძლება სხვა ახალ სარწმუნოებაზე ვიფიქროთ.

განა შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობას სიცოცხლის გზა უკვე მოჭრილი აქვსო?! განა ჭკუაში მყოფი წარმოიდგენს, რომ სახარება გამოიფიტაო?! ბატონო, შეჩერდი, ზირზე ცივი წყალი შეისხი, გონზე მოდი! როგორ შეიძლება ასეთი ზულუსობა? სად, როდის და ვისგან შეიტყუე უველაფერი ეს?

ჭეშმარიტად უნუგებო და უკურნებელი იქნებოდა ჩვენი ეკლესიის მღვდლო-

ბეობა, რომ ბლიმათ მოიპოვებოდნენ ჩვენში ამგვარი ზირები, მაგრამ ბედნიერება იმაშია, რომ არამც თუ ფსინოლოგიურად, ფიზიკურადანც შეუძლებელია ასეთი არსებების სიმრავლე და ბუნება მხოლოდ თითო-ორი ცალს ინახავს იშვიათობის სანიმუშით!

სეფეველი.



სამღვდლოების მომზადება.

„დროების“ მე-29 ნომერში მოთავსებული მოწინავე მეტად საგულისხმოა ერთი მხრით და მეტად საწინა და სათაველო მხარით. საგულისხმიერა მით, რომ იგი იწვევს სამღვდლოებას სამოქმედო, სამღვდლოებას, რომელმაც თითქმის სულ დაიძინა, დაიძინა საღათის ძილით და აღარაფრით სიცოცხლის ნიშნს არ აძლევს. სოფელი სამღვდლოება თავის ქონებაში და ქალაქის—თავის თბილ ადგილებში, რადაც გაუჩინელ, ენაჩაგრდნილ სამეფოს წარმოადგენს. მას თელავის უოკლმხრივ, მას მუსის ავლებს, იგი კი სდუმს, სდუმს სამარცხინოდ, თითქმის მარტო თათონ იყოს დანაშაული და არა ის ვაუბტონებინ, რომლებსაც თავი ხალხის მსხველ ფარად მოაქვთ. ასეთმა საეკლესიო წარმომადგენელმა უნდა გამოაფხიზლოს სამღვდლოება, თუ იგი სულ არ მომკვდარა, როგორც ვაუწევს „დროების“ მოწინავე, უნდა ავლებინოს ხელში თანამედროვე კულტურული მახვილი—კალამი (თუ წერა არ დაიწვება), და ზისუნა გააცემინოს უსაფუძვლო მოსაუკედურებისათვის, როგორც ხსენებულ წერილის ავტორმა.

შემო მოუვანილ ჩვენი თანამომხის წერილს ჩვენ დაგუმატებთ, რომ ბ. მემოწინავეს საეკლესიო ბი ბეკრი უსაფუძვლოა და მიზანს კერ ხვდება. სამღვდლოებამ ეკლესიის თავის უფლება დაჭარბა და სეკლესიო მამულებიც თან მიაუღალა, ამბობს წერილი. ისტორიამ კარგად იცის, თუ როგორ გრძობდა სამღვდლოება ამ ორ ძალმომრეობას. მაგრამ რას იზამდა, როცა კრი ხმას არ იღებდა და მხარს არ უჭერდა თავის სამღვდლოებას. სხვა

რომ არა იყოს რა, ვინ გამოკისრება ქუთათელს და გენათელს, როცა ივინი გადათორიეს და სდღან...? განმთავისუფლებულ მოძრაობის დროს სამღვდელთა დეკარტული ავტოკეფალიის დაბრუნება მოინდობა; მართლაც ცნა უკრ-ვერობით უნაყოფო გამოდგა; მაგრამ გვიბრძნეთ, ბატონო, რომელი ცნა არ გამოდგა უნაყოფო, რომელმა სოციალისტურმა, ან სხვა მისწრაფებამ, გაიმარჯვა ამ რეაქციის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობებზე ბეჭი ჰქონდა. ხოლო ჩვენ დაწვეულ საქმეს ვინ თანუგრძობდა, გარდა ერთი მეტა სიმღვდელთა, რომელშიცაა გაშვებულიც ერივინი. მოძრაობა ახლგაზღვდა არა თუ სელს უწოდდა სამღვდელთა მინის განსორციელებში, არამედ სრულყოფილ უარყოფით და მისა წარმომადგენლებიც, მხოლოდ ტაძრები მოაწონა იატრებზე და მღვდლებზე სავითო საქონლის შესახებ სოციალისტის დროს, რომელიც მათი ახლო ხელვით მეორე დღეს უნდა დაშორებულიყო. ასეთ სავოკანდობაში სამღვდელთა, რა თქმა უნდა, გმრავლეს გაწვობდა და ევრც გაწვობს, სანამ წინასწარ საქმეს არ მოაკვარებს, ე. ი. არ გადვიძებს ხალხში ქართუკ სარწმუნოებას და არ შეაჯარებს მის ეკლესიას. აი ის დაიდი ფრად მნელო სარბული, რომელზედაც უნდა ამოქმედოს დევანდელმა სამღვდელთა. და ეს სარბული უჩვენა მის განმთავისუფლებელმა მოძრაობამ. ამ უკანსებელმა თვალსაჩინოდ დაგვიამტვიცნა, თუ რა სუსტი უფიქროს ხალხში სარწმუნოება, რომელიც კავიბეზე გაწვადეს და დღესაც ჰქონდა თუნდა გურიაში. სხვა ფრად ჩვენ არ შეგვიძლია ავხსნათ ის განსარბული ბრძოლა უბაღ-აღებულ დროის თაბაზე, რომელმაც აძენა უსამოებება გამოიწვია.


გვიკვირებენ მართებლობა გემდურითა. ასეთა შინის მოგება, ცოტა არ იყოს, უადვილოდ მაგაჩინა, მაგრამ კიდევ დალოცა დემოტმა, რომ ასე მომხდარა, თორემ აქ ხომ აღარ გემდურებოდა. ვინც მართებლობის განწყობილობით სარგებლობს, ის ხომ „სულიგანია“ კლანდელ დროში და არაფერა შეწინააღმდეგებს არა აქვს პრესაში და სავოკანდობაში, ვინცაღ მართებლობა უკმაყოფილოა, ხომ ის მიჩნით ნამდვილ თანამედროვე აღმთანდა. მაშ არ გვესმის, ჩვენ რათ გვიკვირებენ?... მაგრამ გვესმის, გვესმის! მიტომ, რომ ჩვენ სარ-

წმუნოების წარმომადგენლები ვართ, სარწმუნოების, რომელმაც დროების“ ახრით მოსწამა თავის დრო... დაბდა“... „გამოიფიტა“?!

კინკილეთელი.

მოწინავე წერილის ავტორი, რომ რამეს უწოდებდას აქცეიდეს, გარდა თავის თცნებებისა, ჩვენ უწინააღმდეგო წაიკითხავდა თარგმანს მ. პეტროვის თხზულებისას „სასარება, როგორც საფუძველი ცნობებისა“ და მისი აღარ წამაბოდიებდა ქრისტიანულ სარწმუნოების „დაბებაზე“ „გამოიფიტა“.

რედ.



ა კ ა კ ი ვ ი რ ე თ ე ლ ი,

როგორც მგოსანი მამულიშვილი. *)

1. აკაკის 50 წლის იუბილეიმ ნათლად დაგვანახვა ჩვენ, ვინ არის ის ქართველი ერიოსათვის. მეტი პატივი, მეტი აზვირთება, აღზავება სულისა, მეტი ერთსულოვნება და მეტი სიყვარულ-ბედნიერება იმაზე, რაც ამ დღეს საქართველომ მიუძღვნა თავის მსოფიან მგოსანს, აღარ შეიძლება! საუკეთესო მამათმთავარნი პოეზიისა: შილლერი, შექსპირი, ვეტე, მიცკევიჩი, პუშკინი, ბაირონი და სხვანი ამისთანანი სიამაყით დადგებოდნენ ჩვენი მსოფიანი აკაკის აღვილზე ამ დღეს! ევროპის საუკეთესო ერებიც თავ-მოწონებით დიჭვირდნენ ერთი ბოხია „საქართველოს აღვილზე!“ ეს იუბილეი უუღლიადეს ეროვნულ დღედ ჩაითვლება საქართველოს თვითცნობიერების ისტორიაში და ამ დღის მომსწრე ქართველს თამამად შეუძლია ერთად აკაკისთან წარმოსთქვას თავის ერზე: „არ მომკვდარა!... მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“... აკაკი მოვიღმზრვიდა და მრავალფეროვანია თავის ნაწერებში: იგია დრამატურგი, ლირიკოსი, პუბლიცისტი, მორალისტი, მოძვარ-ბედავოვი და საუცხოვო ორატორიენა-მეტყველი, საკვირველი სტილისტიკი. მაგრამ ყველა ამებში მისი სახელი ყველაზე უფ-

*) ეს ლექციები წაკითხულ იქნა შემოკლებით ფოთში 7 დეკ. აკაკის საიუბილეო საღამოზე. ავტორი.

რო უკვდავი ჰყო მისმა მსუბუქმა ენამ და ლირიკამ.

აკაკის ენა რომ დავაფასოთ. საჭიროა მისი თანამედროვე მგოსნებ-მწე-ლობის ენის ნიმუშებს გავეცნოთ: აბა ვნახოთ!

აკაკიზე არა ნაკლებ ვაჟა-ფშაველამ და ა. ყაზბეგმა თავიანთი ნიქიერი ნაწერები მთიულეთის პროვინციალიზმით გარყვნეს და მითის სამსახური გაუწიეს თავიანთ თავსაც და ქართველ მდბიო ხალხს და სკოლას, რომ აქ მათი ნაწერების ხმარება თითქმის შეუძლებელი ხდება. აბა, მიბრძანეთ, რომელს გლეს და შეგირდს შეუძლია ასეთი ენის ხმარება და გაგება:

ვ ა ჟ ა :

„მაცნე მოვიდა შატილსა:—

—ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწვემსები,
აენია, ავი ზნიანნი.

აღუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფინენოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი;
ბევრს ქისტს მაჰკრა მარჯვენა,
სცადა ფრანგული ფხიანი.
ქისტებს წაუსხამს ცხენები,
აღუდა ისიც მთიანი.

გუმან აქვ, გადაავლიონ
არხოტის თავი მთიანი,
გადაბერტყინონ ნალითა
ქუჩი მთებისა ცვრიანი.

ეს რო აღუდამ გაიგო,
თოფს დაუპირა ტალიო;
აისხა იარაღები,

გააფხავიდის ხმალიო;
გაუშინჯიდის ვადანი,
ხმაღს არ გაუცვდეს ტარიო... (35—6)

ჩვენი ბუმბერაზი ილიაც რამდენად ძლიერია ენით, იმდენად მძიმეა. იგი რასაც იტყვის, კლდეა, მებია მტრისათვის, ზღვაა დაუმრეტელი მისი ენის საღარო, მაგრამ ამავე დროს მისი ენა მტკვარივით მდორე, ერთფერი და მღვრიეა. აკაკის ენა თერგივით და რიონივით

ჩქარია, ბასრია, მწველია და ცეცხლის ელვასავით მომდები, ან წარმტაცი, ტკბილი თაფლიან ძირმწარე და ნალველი. იგი სჩქეფს, დულს მაქარივით, თუმცა ამავე დროს წმიდაა სარკესავით, ბროლივით, ცის ნამივით, მთის ნაკადულივით, მსუბუქი, ცქრიალა, მალხაზი, მოქნილი, ჭადრაკული, კლიმანტური, თასმასავით დარბილებული, მისაგრებ-მოსაგრები. ავიღოთ მაგალითი. როგორ ესაუბრებიან სამშობლო მთას ვვენი მგოსნები: ილია, ნ. ბარათაშვილი და აკაკი.

ი ლ ი ა :

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა.

მახსოვს ყრმა ვიყავ ძლივს მოსული გონს და ცნობასა

როს სილიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ერყოლასა.

მე თრთოლვით ვსქვრეტდი ლაევარდს ცაზედ თქვენსა სიმაღლეს

და შევნატრდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს...

მომწონდა თავი, რომ დაბადება თქვენს შორსა მხვდა,

თქვენი ღვიძლი ვიყავი შვილი...

ნ. ბარათაშვილი:

ჰოი მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი,

დამაფთქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი, ვით არ ჰშენიან, როს მონამენ ცვარნი

ციურნი, ოდეს საღამოს, დაჰშეთენ ამოს, ციავნი

ნელნი! ვითარი მაშინ იღუმლობა დისადგურებს

შენს არე-მარეს! რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენ

ტურფა სერზედ მდგომარეს! ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი

მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა, და ვით გუნდრუქსა სამადლობელსა შენდა

აკმევენ სუნნელუბასა.

აკაკის ენა:

ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო.
ვერ ავიტანე ობლობა.
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წაძლია სულმა და გულმა,—
შენს ნახვას დავეჩქარეო.
წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.
გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუყვარეო—
ია და ვარდი დამქნარი
ხელ-ახლად გამიხარეო...

ძველ მამა-პაპურ რაინდობას აკაკი ასე
გვიხატავს:

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაში ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვიტხრას მათი საქმე
უთვალავი საგმირონი
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?... (თორნ.ერ. 1)

—
თორნიკე ერისთავს ასე აგვიწერს მგო-
სანი:

ახოვანი, მშვენიერი
თეთრ-წვერა და თეთრ თმიანი,
წინ წამოდგა სასაუბროთ
მოწიწებით ტკბილ ხმიანი.

—
საქართველოს მამაცობაზე:

ეს პატარა საქართველო
ჯარასავეთ დატრიალდა,
გადიწერა რა პირჯვარი,
გაფოლადდა და გასაღდა.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი,

შეიღება წითლად მდელი...
აღდგომის კვერცხს დაემსგავსა
ქირ-ნახული საქართველო... (თორნ. 15)

—
აი ენის ძალაზე რას ამბობს თვინონ:

ხმალზედ უფრო ძლიერათ სკრის
პატარა და რბილი ენა,
გაჰკვეთს ზვანჯსა უგნურების,
მისი ტყვეა ხშირად სმენა!
ხან გონება გამოცდილი,
მას მოიქნევს მრავალ-გვარათ,
ხან. მფარავი ზვაშიადის,
გული აგებს გრძნობის ფარად.
დროზე უნდა მოხმარება,
მხმარებელიც გონიერა—
რომ ხან ნაღვლით გაიღესოს,
ხან ძირ-ტკბილით ენის წვერი.
თორნიკემაც ნაღველ-თაფლად
გრძნობა გულში ჩაიყენა
და სიმართლის ხელით მასში
ამოუწო მისი ენა.

ქალის სიმშვენიერეს ასე აწერს:

ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზე
ღვთისაგან დანათესია,
მაგრამ იმათში ყველაზე
შუქურა უკეთესია!..
ბევრია საქართველოში
პირთა მზე, მზეთ უნახავი;
მაგრამ „ნათელას“ რომ სჯობდეს,
არავინ არის მნახავი.
ტანადობა აქვს ალვის ხის,
და თვალადობა მთვარისა...
ღიმილი ცისკრის ვარსკვლავის
სხივოსან-მოელვარისა.
ვარდს მოუძღვნია ელფერი,
სინაზე—ტურფა იასა;
ზედ შუქი მოუფენია
სამოთხის კარსა ღიასა...

—
ქალის უკულმართობას ასე ხატავს:

აქაც არის, იქაც არის,
არც ჩვენია არც სხვისია;

თავად ფროთხილი, თანამგრძობი
მხოლოდ სხვისის მარცხისაო!
ფარ-ხმალი აქვს სათვალ-მაქცო,
არც რკინის და არც ხისაო,
აღმა ხნულში მხმარებელი
სადაღმართო ფარცხისაო!
მისი ღვაწლი შეაჩვენოს
მაცხოვარმა კაცხისაო!

და მერე დასძენს სხვაგან:

დრო წავიდა სხვა მოვიდა,
დღე დაწვა და ღამე შობა.
„ზრასტის“ ვეტყვი ზოგიერთ ქალს!...
აღარ ესმის გამარჯობა!

ქ ა ლ ი ს ა ლ ე რ ს ი :

ნანინა, იავ, ნანინა!
ნანაო, ვარდო, ნანაო!
იმ ქვეყნის ნორჩო ყვავილო,
ამ ქვეყნის გამოცანაო!
ვარდი გთხოვს ფეროვნებასა
და ია სინაზესაო;
მოთინათინე მნათობო,
სჩაგრავ მთვარეს და მზესაო.
შეშურდა ცისკრის ვარსკვლავსა
თვლების ეღვარებაო!
და განთიადი შემკრთალი
შენგან ბნელს ეფარებაო!
სხვა დედას ვის გაუზღია
ოცნება შენისთანაო!
ხმელეთი საბურთალოდ გაქვს
და ზღვაა შენი სანაგო.
შშვენიერების გვირგვინო
და სიბრძნის გამოცანაო!
ნანინა, იავ, ნანინა,
ნანაო, ვარდო, ნანაო! (თამ. ცბ. IV, სტ. I)

ქვეყნის უკუღმართობაზე, — მასხარა:

მალღით ცეცხლის წვიმა მოდის,
დაბლა დგება სისხლის ღვარი,
ცა და მიწა გადაბრუნდა,

გავვისწორდა მთა და ბარი!
მწყერს მიმინო შეუშინდა,
კურდღელს — მწვევარ-მეძებარი;
შევარდენი შეაშინა
მტრედმა, დასცა შიშის ზარი!
ძმა ძმას სწირავს მამა — შვილსა,
მეგობარსა — მეგობარი...
ცაო! ცაო! მოიწმინდე,
დაგვიყენე ისევ დარი!
შევარდენო, ფრთა გაშაღე,
ცის კამარას თავი ჰკარი...
მეგობარო, მოიგონე
გულითადი მეგობარი,
უსამართლოდ საკანში ზის
გაწირული ცოცხალ-მკვდარი...
მოსთქვამს ქვეყნის ურიგობას,
კვენისის, სტირის მისი ქნარი!
ამას ასე მოვახსენებთ
დღეს მასხარა, ენამწარი.
ნუ შერისხავთ მართლისათვის,
გესმისთ მისი ნაუბარი!“

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი :

ქ ა ლ ი .

შვის სხივები აკოკრებენ
მაისის ვარდს სასურველად
და ცის ნამი გულში ხვდება
გასაფურჩქნელ-გასაშლელად.
ემხი შენი სხივად მომხვდა,
სიყვარული — გულის წამად!
და შენი ვარ!.. შენთვის დავსქკნე,
ნუ გამკიცხავ, ნუ მგმობ ამაღ!

ავგაროზად გულს დავიდევ.

წიგნი შენგან მონაწერი;
სული მივე საკურთხებლად,
საყდრად — გული ანადგერი,
ფიქრად — გრძნობა, გრძნობა — ლოცვად,
ორივე ერთად — საარაკოდ!..
თავი ჩემი ზედ დავადევ,
დასაწველად საზეარაკოდ!..

ასეთია მეტ-ნაკლებ აკაკის ენა.

მღვდელი მ. კელენჯერიძე.
(შემდეგი იქნება).

საახალწლო მილოცვები ივერიელისა.

ეპისკოპოსს ლეონიდეს.

ტვირთი მძიმე ასაწევად
განგებისგან შენ გხვდა წილად;
მამული გთხოვს: „შენი თავი
მეჭივრება შესაწირად!“

არც ქრისტე ღმერთს და არც მამულს
არ გაექვე, არ უმტყუნე;
შენს უბაღლო მამაცობას
შვილთ ვტყვის ეს საუკუნე.

ივერიის მქადაგებელს,
გრჩებოდა შენ საქყონდიდლო,
აჰა, ისიც მოიარე,
ნახე მისი მთა და მდებლო!!

განადიდე შენი კვერთხი,
იმეტყველე პირდაპირად,
მოწყალებით ნუ მიხედავ,
არ ვარგოდეს ვინც დღეს გმირად!!

ზოგერთ მღვდლებს.

ქრისტე ღმერთი დაგავიწყდათ,
გაიღმერთეთ ებიკური,
სმას და ჭამას რომ ქადაგებს,
მას მიეციტ გულისყური.—

ზნეობას და მამაცობას
ქრისტიანულს თქვენ ვერ შესძლებთ,—
მოღვაწის და მეთაურის
ძალა-სიმხნე თქვენ არ შეგწევთ.

ქრისტეს ყანა მწარე ღვარძლით
მოთესეთ, ეს მართალია.
თმა და წვერი შეიპარსეთ
და ჰა! ავტოკეფალია!!.

X Baton-ს

შავდროთაგან დაღონებულს
ლხინად მიჩნდა მე სიკვდილი,—
ძმა ძმას ჰკლავდა ქართველებში,
გაბედითდა ჩვენი ლხინი.

მაგრამ ამ დროს, ახალგაზდავ!
საიმედოთ გადმოგეძახე:
„ფურთხი მკვლევლებს შურის ძევა!“
თავი გმირად დაისახე.

და აიღე დროშა იმ დროს
საქართველოს ფიცით ხელში...
ჰა! ილიას აჩრდილიც კი
იცინოდა სამარეში.

თითქოს გიცნო გმირად, ხრმალი
მოგაწოდა თვის მემკვიდრეს,
ვით თორნიკემ, იმ სულმნათმა,
ახალგაზდა ორბელიძეს.

ვემოწმებით ჩვენც იმ აჩრდილს,
და გილოცავთ შენს მომავალს;
არ გვიმტყუნო, მოგაწოდებთ
ქავკავადის გვირგვინის თვალს!...

X პროფ. მარს.

კავკასიის მთაგრეხილით
დაშორებულს მამული შვილს,
სალამს გაძლევთ, მადლობელნი
შენის ბრძოლის და საჩივრის.

მოიკრიფე ძალა-ღონე,
აზრით სძლიე მეტოქე მტერს,
—ივერიის ეკლესია
შუბლს მოგაფენს შაოვანდელს!!

X პროფ. ცაგარელს.

მართალია ბრძნული სიტყვა
მწიგნობრებმა შეგილახეს,

მაგრამ ჩვენ გვრწამს არ შეაწევ
თავხედობას სკვითების თხებს.

ნუ დააქრობ იმ შენ ეინუდილს
მანათობლად რომ გაქვს ხელში,
შენს გმირობას ტაშს უკრავენ
ქართველნი იქ, სამოთხეში;

და ჩვენც დიდის სასოებით
ველოდებით ბრწყინვალე დღეს.
როს ვიხილავთ ივერიის
მანათობლად წართმეულს მზეს.

ნ. დ უ რ ნ ო ვ ო ს.

კირთების ქვეშ ქედმოხრილნი,
ჩაქედნილი მიმიგ ხუნდით
მმადლობელნი სალამს გაძღვეთ
მომაკვდავის უძღურის ხმით.

ჩვენ რა გითხრათ, როგორ შეგზლოთ
ესოდენი სამსახური?!

— გვიხარია, უცხო ტომმა
რომ გვიჩხარო სიტყვა ძმური.

დაჩაგრულთ და უძღურთ ძმობას
ქრისტიანი მოვალეა,
ჩვენ თუ ვერა, იმან შეგზლოს
ვინც დავრდომილთ მოსარჩლეა.

ა კ ა კ ი ს და მ ი ს ჯ გ უ ფ ს.

მგვიპტეში დამონებულთ
გვპირდებოდით თქვენ გამოხსნას,
ნათლის სვეტით საწაღმართოს
გვინათებდით შორეულს გზას.

უდაბნოში გამოგიჩნდენ
კორე, დაფან, აბირონი;
აგირიეს მშვიდი ხალხი,
შეგიბლადეს ცის შირონი;

ოქროს კერპებს, მათგან დადგმულს,
აცემინეს ერს თაყვანი;
დაივიწყეს წინამძღოლი
მეწამულის ზღვით გამყვანი.

ვით ებრაელთ ძველათ მოსე,
ჩვენც ილია შეგვიგინეს,
არ ჩააგდეს ის ცრემლები
ეგვიპტეში რომ აღინეს.

მაგრამ გმირნო, როგორც მოსემ,
ავგიყვანეთ იმ მაღალს მთას,
აღთქმულს მხარეს რომ დაჰყურებს—
თავისუფალს, სრულს ქვეყანას.

კორე, დაფან, აბირონი
ღრუბლის ცეცხლით დასწვით, დაჰგმეთ,
თუ ვერ შეხვალთ იმ ტკბილს მხარეს
ჩვენ გთხოვთ მაინც დაგვანახეთ.

მღვდელს მელიტონ კელენჯერიძეს.

ღმრთის მებრძოლი კრუ გმირები
გიმიზნებენ ისარ-კაპარკს,
სამტერ-მოყვროს და სასირცხვოს,—
თითქოს გცნობდენ შენ ვით ჯაბანს.

მაგრამ ძმაო ნუ შედრკები,
აღიჭურვე სასოებით,
სამშობლოსთვის ყოველივე
აიტანე მოთმინებით.

ნუ დაუშვებ ძირს შენს კალამს,
შეები მათ მამაცურად,
ქვეყანას რომ ატყუებენ,
ფენთხს გვაწვდიან ჩვენ რომ ცურად.

შენს ბანაკში იპირველე
გაუკაფე სხვებს გზა-კვალი;
დღეს დაჩაგრულს ძლევის გვირგვინს
თავს დაგადგამს მომავალი.



ილია ჭავჭავაძე,

როგორც ლირიკოსი პოეტი.

(27 ლინობ. 1887—30 აგვ. 1907 წ.)

„ნეტა, ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის იქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა!...“

ილია ჭავჭავაძე.

სამოციან წლებში ქართულ ლიტერატურის უეცარი აღორძინება და განახლება ყველა ადამიანისათვის დიდათ თვალსაჩინო, აშკარა ამბავია. მაშინდელს ჟურნალებს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, იმ დროის ჟურნალს, ილიას „საქართველოს მოამბეს“ რომ ვათვლიერებთ, ჩვენ ვხედავთ სრულიად ახალს, ორიოდ კაციდან შემდგარს რაზმს ლიტერატურაში მომუშავეთა, რომელთაც საქართველოში პირველად შემოაქვთ სრულიად უცნობი, ახალი საგნები და იმათ შესახებ ბჭობენ და ებასებებიან მკითხველს. სალიტერატურო ბჭობას და ქადაგებას, პუბლიცისტურ, ლირიკულს და ბელეტრისტულ შრომას ის მოყვა, რომ ქართული ლიტერატურა დიდად გამდიდრდა ახალი ძვირფასი ნაშრომებით და თვისი ძლიერი შინაარსით მიცეს მას ახალი მიმართულება, განამდიდრეს ქართველთა აზრის ვითარების საქმე და მთლად ჩვენს ქვეყანას მოჰფინეს ახალი აზრები და სიტყვები. რა იყო მიზეზი ამ განახლებისა?

ყოველგვარ შემოქმედებით ძალას გარს ახვევია ათასი გარემოება და ერთი მეორეში გადახლართული არის ხოლმე მრავალი საზოგადო და ინდივიდუალური პირობა. ამიტომ არც იცი, რომელი გარემოება გამოაცალკეო და რომელს წაავლო ხელი და გამონახო ძარღვი მთელი მოძრაობისა, შემოქმედებისა. ქართული ლიტერატურის მაშინდელ განახლებას და აღორძინებას უმეტესად აწერენ მხოლოდ და მარტო ტალანტების ჩვენში იმ ეამად გაჩენას და სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლას. მაგრამ ესეთი აზრი სიშარტლეს მოკლებულიც

რომ არ იყვეს, გადაქარბებული ხომ არის და არის. რასაკვირველია, მაშინდელს მოღვაწეთ ნიქსაც და ენერგიას ვინ წაართმევს. მაგრამ ამგვარად საგანი ვერ აიხსნება. ნიქიერი კაცები გამოვიდენ მაშინ სამუშაოდ ლიტერატურაშიო, რომ ვიძახოთ ეს არ კმარა. ჩვენ უნდა ავხსნათ ეს გარემოება, რატომ მაშინ დაიბადენ ნიქიერნი და დღეს კი ვითომც არ იბადებიან ნიქიერნი. მაშასადამე, ცვლევების საგანი აქ უფრო რთულდება.

მე ლიტერატურაში ტენდენციური ხელოვნების მომხრე არა ვარ. მოძღვრული, მორალების და ტენდენციების მაქადაგებელი ხელოვნება-მხატვრობა ლიტერატურაში მე მიმაჩნია ძალიან ცუდ საქმედ, წმინდა წყლის ლაყბობათ.

მხატვრული ლიტერატურა და მთლად მწერლობა უნდა ხატავდეს ცხოვრებას მთელი თვისი სიღრმე-სიგანით და ძალით, ყოველგვარი მომხდარი ცვლილებით, ბრძოლით, მოძრაობით და გრძობა-გონებით. ცხოვრებაში გრძობა და აზრი არის, მაშასადამე, ლიტერატურამაც უნდა გამოხატოს ეს გრძობა და აზრი. ამიტომაც ლიტერატურას ცხოვრების სარკეს ეძახიან. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ხელოვნება-მხატვრობა და საერთოთ ლიტერატურა, თუ მივიღებთ ამ სიტყვას მისი უაღრესი მნიშვნელობით, ცხოვრებაში შრომის დროს დიდად გამოსაყენებელი რამ არის, ისეთი რამ, როგორც მაგალითად, ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკაა. ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკაც სარკესავით ხატავს დღეინდელ დღეს, ჩვენს ყოველ დღიურს ცხოვრებას კაცთა საზოგადოების ჭირსა და ვარაზს, რადგან ცხოვრებას ზედ გულზე აზის და ამ გულიდან სცემს ქვეყნად იმისი მაჯაც.

ლიტერატურა და ხელოვნებაც გამომხატველია ცხოვრების; მაგრამ მას აქვს უფლება ამ ცხოვრებას უყუროს დაშორებით, უყუროს ისე, როგორც გარეშე მაყურებელი, და ისე უნდა ათვალიერებდეს, დინჯად უკვირდებოდეს ცხოვრებას, არა როგორც გულის თქმით გატაცებული და დღიურ ვარაზით დაინტერესებული, არამედ ერთი დიდი საერთო იდეით,

რომელიც შეუსისბლოცებია ავტორის სუბიექტიურს არსებას. და არც ეს იდეა უნდა მიმდინარეობდეს მარტო დღეინდელ დღის ცხოვრების დუღილიდან. არა იმისი დასაბამია თვით ქვეშარიტი ლიტერატურის დასაწყისში და ჩასახულია შორს წმინდა იდეალებში. აი, ამ დიდი საერთო იდეის მაღლით გამოინახება ცხოვრებაში სახელმძღვანელო იდეებიცა და ისინი სრულის ხატებით გამოითქვიან ბელეტრისტიკაშიაც, ლირიკაშიაც, პუბლიცისტიკაშიაც. იდეები, მართლაც, მანიხელების ეონებივით, ციდან ხომ არა ცვივან, ისინიც ჩნდებიან და ვითარდებიან მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობაში და ყოველთვის, ყოველგან აზისთ ბეჭედი ასეთი ვითარებისა. რა საკვირველია, დიდ-დიდ განყენებულ იდეოლოგებშიაც. დიდ-დიდ და ძლიერ სამხატვრო შემოქმედებაშიაც ყოველთვის გამოიხატება ხოლმე, შედარებით რომა ვსთქვათ, პატარ-პატარა, უბრალო ფორმალური ელემენტები, რომელნიც ერთი ხანიდან მეორე ხანაში, მეორე ეპოქაში გადადიან. მაგრამ ეს უბრალო, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ელემენტი ასე თუ ისე დახასიათდებიან ერთი უმთავრესი, დიდი ისტორიული შინაარსისგან და იმისგან იღებენ თავის დასაბამს.

თუ რომ თვით ცხოვრებაში არის ცოცხალი აზრები, არ შეიძლება, ლიტერატურაშიაც არ გამოხატოს ისინი. ამ გარემოების წინააღმდეგი მოვლინება შესაძლებელია მხოლოდ და მარტო მაშინ წარმოვიდგინოთ, როდესაც „გარდუვალი ძალა“, ილიასი არ იყოს, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, გადაელობება წინ ლიტერატურას. აიღეთ ემილ ზოლა, განთქმული განსვენებული ბელეტრისტი საფრაგეთისა და თქვენ ნახეთ, რომ იმის ინდივიდუალურს თავ-გადასავალს თან მიჰდევს საზოგადო მოძრაობის და იდეების მხატვრულად გამოხატვა. გადაშინჯეთ ილია ჭავჭავაძის ნაწერები, ისიც თავისს მოთხრობებში და ლექსებში ხატავს თანამედროვე ქართველთა ცხოვრების საზოგადო მოძრაობას. მაგრამ მხატვრობითი ლიტერატურა გარემოცულ ცხოვრების მარტო მშრალი გამოხატვით კი არ უნდა კმაყოფილდებოდეს. ლიტერატურა დაუკვირდება და დაამუშავებს

მოვლინებას, მერე მშვენივრად გარდაქმნის მას და ძლიერის გულის აღმძვრელის მხატვრობით დაგვიხატავს ცხოვრებას. ასეთი მხარე აქვს სწორეთ ლიტერატურას რუსეთში წარჩინებულის მწერალის გოგოლიდან დაწყებული და საქართველოში ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული. მხატვრულად დამუშავება, განცდა, გარდაქმნა საზოგადოებრივი სინამდვილისა ყოველთვის ნიშნავს მშობრავი ცოცხალი აზრებით და იდეებით ცხოვრებას, ბრძოლას და მღელვარებას. ჩვენი ახალი ლიტერატურა, ან უკეთ რომა ვსთქვათ, ახალი მხატვრული ლიტერატურა სწორედ ილია ჭავჭავაძიდან იწყებს თავის დასაბამს..

საიდუმლოება რუსეთისა და ჩვენი ლიტერატურის აღორძინების, განათლების და გამდიდრებისაც იმაშია, რომ მაშინდელმა ლიტერატურამ პირ-წმინდად გამოხატა და დაახასიათა ცხოვრების ერთი დიდი სახელმძღვანელო საზოგადოებრივი იდეა. როგორ განდა ცხოვრებაში ის იდეა, სად არის იმისი რეალური დასაბამი? — ამის განხილვას მე აქ ახლა არ შევეუდგები, რადგან ეს შორს წაგვიყვანს, დროსაც და ადგილსაც ბევრს მოითხოვს. ეს დიდი იდეა შეიძლება მოკლედ ორიოდ სიტყვით გამოითქვას: ბატონ-ყმობის მოსპობა.

ბატონ-ყმობის მოსპობის სურვილი იყო არა მარტო იდეა, არამედ მთელი ცხოველი და არსებითი დიდად ღრმა და ძლიერი გრძნობა, რომელმაც აამღელვარა მწარედ და საშინლად მთელი რუსეთი და საქართველოც. ტყუილად არა სწერს რუსეთის გამოჩენილი ბელეტრისტი ტურგენიევი თავის თავზე:

„ჩემს თვალებში მტერს... გარკვეული სახე ჰქონდა; ცხადს სახეს ატარებდა: ეს მტერი იყო — ბატონ-ყმობის უფლება. ამ სახელწოდებისათვის შევეკრიბე და თავი მოვეუყარე მე ყოველიფერს, რის წინააღმდეგ ბრძოლა გადაეწყვიტე ბოლომდის და რომელსაც, ფიცი მივიღე, არასოდეს არ შევეურიგდე... ეს იყო ჩემი ჰანნიბალისტური ფიცი; და არც მე მარტო ერთს მიმიცია ეს ფიცი ჩემი თავისთვის მაშინ.“ *

*) თხზულებანი ი. ს. ტურგენიევისა გამოც. 1884 წ. ტ. X, Литературная воспоминания, 83. 4.

უამფიცოდ არათუ ი. ს. ტურგენიევი, მთელი ლიტერატურა რუსეთისა და ჩვენიც არ იქნებოდა ასე აღორძინებული, ამღელვარებული და გამდიდრებული. ასეთი ფიცი მიეცათ თავიანთი თავისათვის ჩვენი ეროვნების მაშინდელს გოლიათებს: იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს**), ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, შემდეგ გ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს, და სხვათა.

ზომილი.

(შემდეგი იქნება)



ბ. დ. ახვლედიანს.

თქვენი საყურადღებო წერილები „ამირანში“ მოთავსებული შესახებ ადამიანის და მაიმუნის ერთ-ნათესაობის წინააღმდეგ დიდის სიამოვნებით გადავიკითხე და უზომო მადლობაც წარმოვსთქვი, რომ შეუერთეთ ხმა ბ. „სეფეველის“ მეცნიერულ წერილებს და ბრწყინვალედ დაანაცრეთ მაიმუნიზმი. ღმერთმან კურთხეულ ჰყოს თქვენი სიცოცხლე! მხოლოდ ერთ-რამეში ვერ გამართლებთ, ე. ი. რაღაც კოქლობთ ღვთის სახელის აღსარებაზე და, ნაცვლად ღვთისა, ბუნებას მხოლოდ იხსენიებთ ცა და ქვეყნის შემოქმედ-განმწესებელად, რამეთუ ამბობთ: „როდესაც ბუნება ამყარებდა ამ საზღვარს, იგი ცოტას ფიქრობდა ცალკე ინდივიდის სურვილსა და ინტერესზე, მაგრამ სამაგიეროდ ის დიდის ყურადღებით ეპყრობოდა მოდგმის ინტერესს.“

ამ თქვენს სიტყვებში, როგორც მზის სხივები ცხადი და ნათელია ყველასათვის, ისე ცხადად და ნათლად აღიარებულია ცხოველი და მაღალ გონიერი, ბრძნული მოაზრე არსება და არა უბრალო „ბუნება.“ მით რომ თქვენ ამბობთ: „ფიქრობდა“ ფიქრი უსიცოცხლოდ და უაზროდ არიქნება.— „დიდის ყურადღებით ეპყრობოდაო.“ აქ ზომ გონიერად ბრძნული მხედველობაა შ. მოქმედებითი მბადებლობის დროს წინათ მოაზრებული საჭიროების და ვერ არსე-

ბათა მდგომარეობის მზრუნველობით, რამეთუ სადაც ფიქრი და აზრია იქ სიცოცხლეა და სადაც ღილი ყურადღებით ჰყრობაა არსთა მბადებლობაში იქ ზესთა გონიერებითი აზროვნება და რა უმჯობეს იყო თქმად: „ღმერთი“ თუ ბუნება? რამეთუ „ბუნება“, რაღაც ყრუ და უსიცოცხლო წოდებაა და რადგან თქვენს სიტყვებში სრული სიცოცხლე და სრული გონიერებით მოსაზრებანი აღიარებულია, რად გრცხვენოდათ, ძმაო, გეთქვათ: „ღმერთი?!“ აქ კი შეცდომილ ფარდაა აფარებული და თან შეუწყობელ-შეუთანხმებელიცაა აზრი და ლექსი.


ამბობთ: „როდესაც მწერი იძულებულია ნოყიერ საკვების მოსაპოვებლად ხანგრძლივად იმუშაოს, ბუნება მას პატივსა სცემს და ყურადღებით ეპყრობა, უგრძელებს სიცოცხლესო.“ დიახ ამისთვის გალობს დავით წინასწარმეტყველი: „ყოველი სული აქებლით უფალსა-ო.“ მეცნიერების წყალობით მწერში დაინახეთ თქვენ ასეთი მამაობრივი მზრუნველობით პატივისცემა ღვითს განვებულებისა, რითაც აქებს და აღიდებს შემოქმედს მწერის არსება და თქვენ კი გრცხვენიათ აღიაროთ და აქოთ ის უმაღლესი არსება, რომელიც ასე საკვირველებით ეპყრობა და ზრუნავს ყოველი სულისთვის. საკითხის სადიდებელად მოვიყვან ვასილ დიდის ბუნების მეტყველების დიდ-საყურადღებო სიტყვებს:

„ალკვიონი არს მფრინველი ზღვისა, და დაიბუდის მან კიდესა ზღვისასა და დასხნის კვერცხნი თვისნი ქვიშასა ზედა და გამოისხნის მართველნი თვისნი შვაზაჰთარს, რაჟამს იგი მრავალთა და სასტიკთა ქართა მიერ ზღვა იგი ეკვეთების ქვეყანასა, გარნა ეგრეთცა და დაუმნებინა ყოველნი ქარნი და დასცხრებინა დღევანი ზღვისანი, რაჟამს იგი ატფობნ ალკვიონი კვერცხსა შეიდთა მათ დღეთა, რამეთუ შვიდ დღე დაატფობს და გამოისხამს მართვეთა. ხოლო ვინაიდგან აღზრდაცა მათი სახმარ არს, ნიქ მრავალი და უხუად მიმნიჭებელი ღმერთი მცირსა მას ცხოველსა სხვათაღა შვიდთა დღეთა მანიჭებს აღსაზრდლად მრთვეთა მისთა და ე.ე იციან მუხავეთა იმ ადგილისა-

**) იმის შესანიშნავი სიტყვა ქუთაისის მთავარ-ანკლარის ეკლესიაში, სადაც კინადამ მოკლულ იქნა.

თა და აღკვინიონად სახელ სდებენ ღღეთა მათ. აწ საყვარელო ძმაო ისევ ვასილის სიტყვებით მსურს მიგმართო: „რამეთუ რამცა რა იქმნა შენთვის საკვირველებათაგანი, რომელი ეგე დაიბადე ხატად ღვთისა, ვინათგან მფრინველისათვის ესრეთ მცირისა, დიდსა ამას და საშინელსა ზღვასა აღვირ ესხმიან და ებრძანების, რათა შეაზამთარს დაყუდნეს და დასცხრეს.“ ვისი არს ძმაო ბრძანება, სახიერება, მზრუნველობა და ან ვინ არს ესე „ზუნება“, თუ ღმერთი?! აღმოივსეთ ნაკლულევენება თქვენი, ძმანო, წყაროსა მის ცხოვრებისაგან, რათა იქმნეთ სრულ მეცნიერებასა ღვთისასა და „მეცნიერებით უგალობდით უფალსა.“

ალექსი ბერი.



ზნეობრივი გადაგვარება.

„ყოველსა. რომელსა აქენდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქენდეს, და რომელდა იგი აქენდეს, მოვედოს მისგან (მტ. თ. 25, მ. 29)


მართლაც რომ საკვირველია, ღღე არ გავა ისე, რომ რამდენჯერმე სარკეში არ ჩაიხედოთ, ვინიცობაა, ტანისამოსი გეცვას უსწორ-მასწორად ან და პირის სახე გქონდეს გასვრილი. მაგრამ ასე არ ვებყრობით თავის ზნეობრივ სახეს: მთელი წლის და ხანდახან მთელი ცხოვრების განმავლობაშიაც არ გავსინჯავთ ხოლმე მის სიწმინდეს და სიფაქიზეს, არ დაუწყენებთ ჩვენ თავს წინ, როგორც სარკეს, სახარებაში გამოხატულს ქრისტეს სრულს სახეს. წაიკითხეთ შემდეგი სტრიქონები ამხანაგის სტუდენტებისადმი მიმართვიდან, რომელშიდაც გამოხატულია ნათელი შთაბეჭდილება, გამოტანილი სახარების ახლო გაცნობისაგან. „ამხანაგებო! თუ ჩვენ დიდად ვაფასებთ რომელიმე მოაზრეს, ვცდილობთ გავეცნათ მის შეხედულებასა და აზრებს, ხალისიანად ვკითხულობთ იმის ნაწერებს, იმის თხზულებები შეადგენს ჩვენი მაგიდის მშვენებას. ესლა ვკითხულობთ, რისთვის ჩვენ, განათლება მიღებულ

ლებს, განვითარებულებს, ქვეიანებს, რომელთაც გვიყვარს კეთილი, ქეშმარიტება და სიმართლე, რომელნიც აღფრთოვანებულნი ვართ ძმური სიყვარულით, ასე ცოტათ გვიანტერესებს ის, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა ამ იდეისათვის? ჩვენ არ მოგვეტევება ასეთი უყურადღებობა იესო ქრისტესადმი. აკი იმან მოგვეცა თავის სწავლა, აკი ის ცხოვრობდა და მოკვდა ხალხისადმი სიყვარულისათვის? რისთვის სახარება არ ამშვენებს ჩვენს სამუშაო მაგიდას? რისთვისაა ასე უყურადღებოდ მიტოვებული სახარების კითხვა. რისთვის არის, რომ ის პირი, რომელსაც სახარების კითხვა უყვარს მოსწავლე ახალგაზღობის თვალში მიჩნეულია მატყუარად“ ჩვენ ვეძიებთ ქეშმარიტებას, მაგრამ, როგორ ვიპოვიოთ იმას, როცა უარსეყოფთ მის წყაროს—სახარებას. მზის დანახვისათვის საჭიროა თვალების ზევით ახილვა, ხოლო ცხოვრების გზის ცნობისათვის კი ქრისტესადმი მიმართვა. ვერსად იპოვიოთ სულის ყველა საკითხებზე ისეთ სრულს და გარკვეულ პასუხებს, როგორც სახარებაში, იმის სწავლაში, რომელმაც სთქვა თავის თავზე: „მე ვარ ქეშმარიტება და გზაო“.

გადაშალეთ პირველად მათეს სახარების მე 5, 6 და 7 თავები, გადაიკითხეთ მრავალჯერ, კარგად დაუფიქრდით თითოეული მუხლის და სიტყვის მნიშვნელობას და გაკვირდებით, რომ დანახავთ, თუ როგორ უბრალოდ, ძლიერ ნათლად ახსნილია ცხოვრების ფრიად რთული, საბედისწერო და მწვავე საკითხები. აიღეთ მაგ. ძირითადი მიზანი ზნეობრივი ფილოსოფიისა — საკითხი ადამიანის დანიშნულების შესახებ. საკითხი იმის შესახებ, თუ რაზე და როგორ უნდა მოვიხმაროთ ჩვენი სულიერი და ხორციელი ძილა და მთელი ჩვენი ცხოვრება სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ხალხში, საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილებში; ამ საკითხზე შეხედებით ხოლმე ბევრს სხვა და სხვა ნაირ პასუხებს. ერთი ინგლისელი ფილოსოფოსი ამბობს: თუ შეიძლება შევადაროთ მიწის მუშის და გენიალური მოაზრის ჰაეროვანი კოშკები, იმათ შენობაში აღმოვაჩინთ გასაოცარ გარჩევას. მაგრამ, ვინაიდან ქეშმარიტება ერთია,

ამიტომ სხვა და სხვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე პასუხებში ცხოვრების მიზანზე, მართალი პასუხი უნდა იქნეს მხოლოდ ერთი. ეს პასუხი მოცემული გვაქვს ჩვენ სახარებაში. აქ ის გამოხატულია სამ სიტყვაში და თუ კარგად დავფუქრდებით იმას, ძალაუნებურად მივალთ იმ აზრზე, რომ ამაზე სხვა უფრო სრული და გონიერი პასუხი არ არის და არც შეიძლება იქნეს.

ე. ჩ—ძე.
(შემდეგი იქნება).



ქრისტე და ეკლესია.

(თარგმანი.)

არ იქნება გარდამეტებული იმისი თქმა, რომ ქვეყანაზედ არ ყოფილა ისეთი პიროვნება, რომელიც კი იპყრობდეს ასეთ დაქინებულს და საყოველთაო ყურადღებას, როგორც პიროვნება ქრისტესი. აუარებელი თხზულებებია დაწერილი, რომლებშიაც აწერილია მისი ცხოვრება. ექვი არ არის, კიდევ გაჩნდებიან ახალი და ახალი თხზულებები, რომლებშიაც პიროვნება ქრისტესი იქნება წარმოდგენილი უფრო ნათლად, უფრო სრულად და ხელოვნურად. ქრისტე—ეს ისეთი პიროვნებაა, რომელიც ყოველთვის მიიპყრობს და გააჩერებს თავის თავზე კაცობრიობის ყურადღებას, და ეს ყურადღება არასოდეს არ მოდუნდება, არ დასუსტდება, არამედ უფრო მომეტებულად გაცხოველდება.

ბევრი კერპები ჰყავდა კაცობრიობას, რომელთა წინაშეც იგი თავს იხრიდა, მოსდრკებოდა, დაფნის გვირგვინებით ამკობდა. ხალხი მიჰყვებოდა პლატონს, არისტოტელს, კანტს, გეგელს, რენანს, ნაპოლეონს და სხვებს. მიჰყვებოდნენ და დაიღაღინებდნენ იმათთან საარულში. გაიარა გატაცების ხანა, და ამ აზროვნებისა და ხასიათის გვირგვინმა დაჰკარგეს ინტერესი და გავლენა.

მხოლოდ მართო ერთ სახელს აქვს სამუდამო სიცოცხლე და მიზიდულობა, ეს არის სახელი ქრისტესი. მის წმინდა სახეს ხშირად

სკდილობენ ზოგიერთნი დააჩრდილონ თავიანთი ცილის წამებით, ტყუილით, გაუგებრობით. იმას ხშირად უკადრისად დასცინიან, იმას აწვალბენ, იმას ეხლაც ხშირად განამზადებენ სასიკვდილოდ და უნდათ დავიწყებას მისცენ იგი,—მაგრამ ის ძლიერი და უძლეველი, მეუფე ცხოვრებისა,—მეფობს ხალხის აზროვნებაზე და შეგნებაზე. იგი სდუმს, მაგრამ ეს დუმილი, საიდუმლოებით მოცული, ყოველნიერ სიტყვაზე მჭერმეტყველურად ამბობს, რომ ცხოვრებიდან ქრისტეს სახელის ამოშლა შეუძლებელია. დაე, დასცინონ იმას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სამუდამოდ დარჩება მეუფედ, და ვერავინ ვერ წაართმევს მას მეუფის ღირსებას...

ხან და ხან თითქოს კაცს ჰგონია, რომ ხალხმა სრულიად დამარხა ქრისტე, რომ იგი ვეღარ აღდგება; ჰგონია, რომ იმის დამმარხველები უშიშრად გამეფდებიან ცხოვრებაში. მაგრამ, ვერა. გაისმის ხმა, რომ ქრისტე დადის. და ქრისტეს მტრებს, იროდისა და იუდელების მღვდელმთავრების მსგავსად, თვალები ეხვევა, მტრობითა და სიძულვილით ევსებათ გულა, და ხელმეორედ იწყებენ დანების ლესვას ახლად მის ჯვარზე საცმელად და მოსაკვლელად. ქრისტე—კი დადის ქვეყნად, ასწავლის ხალხს, ერთი სახლიდან მეორეში შეაქვს თავისი ქეშმარიტება, არაკუნებს კარს და ელის, როდის გაუღებენ მას კარებს და შეუშვებენ შიგნით.

და სდგას ჩვენთვის ქრისტე ბრწყინვალე სანთლად, რომელიც ჰჟანტავს ჩვენს გარშემო სიბნელეს, ანათებს ჩვენს ცხოვრებას, დაღვრემილს, ბიწიერს, პირუტყვეულს. ქრისტეს სდევნიან, მაგრამ იგი ჩვენთვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის ითმენს ყოველივე შეურაცხებას, დამცირებას. ჩვენ უფრო ძვირფასად მივაჩნივართ იმას თავის საკუთარ დიდებაზე არ დაგვტოვებს ის ჩვენ, მის მოსავეებს, რაც უნდა ბევრი დაბრკოლება გადაედოზოს.

ქრისტე დიდი სახელია. რომელი პიროვნება იხატება ჩვენ წინ მომეტებულად რომელი სახელი ეუბნება კაცის გულ მომეტებულად, ვინემ სახელი ქრისტე ი! რომელი დებულებაა მომეტებულად განსაკვიფრებელი, ვი-

ნემ მისი სახარება! ქრისტე და მისი სახარება მარადის დარჩებიან ერთად-ერთ მხედ, რომელიც გაუნათებს ცხოვრების გზას ყველას, ვისაც კი უნდა ბოროტებასთან ბრძოლა. სადაც იქნება კეთილი მიმართულება, წმინდა და კეთილი აზრი და მისწრაფება, იქ ყოველთვის იქნება ქრისტე, იმისთვის რომ ქრისტე არის აბსოლუტური სიკეთე, სიწმინდე და ჭეშმარიტება. როგორც დიდი სხეული იზიდავს თავისკენ პატარა სხეულს, ისე იზიდავს ყოველთვის ქრისტეც თავისკენ მათ, ვინც სიკეთის მომხრეა. და სანამ სიკეთე იქნება ხალხში, მანამდის იცხოვრებს მასში ქრისტეც.

ყველა დიდი, შესანიშნავი კაცები დავიწყებულ იქნებიან, რადგანაც მათი საქმეები და პიროვნება შეესაბამებოდა მხოლოდ თავის დროს

ქრისტე — ეს მეორე ადამია, მამათმთავარია ახალი კაცობრიობისა. და სანამ ახალი კაცობრიობა იქნება ქვეყნად, იმას ეხსომება თავისი მამათმთავარი, ეყვარება იგი, გამოეცხადება მას

გარეგნულ ღვაწლსა და საქმეებს ფასი სდევს; მაგრამ ახალი დროის შესაფერისად ჩნდება ახალი ხალხი, და ძველი იფიწყება. ქრისტე კი დიდია არა თავისი გარეგნული საქმეებით, არამედ თითონვე, თავისივე პიროვნებით. იგი თავის თავად აღტარებდა ყოველივე სიმდიდრეს მომავალი კაცობრიობის სულიერი ცხოვრებისას; ამისთვის ყოველივე სიკეთე თავის ფესვებით დამოკიდებულია ქრისტესაგან. ქრისტე — ცხოვრებაა სამარადისო, გაუთავებელი. იგი არის სათავე წყლისა ცხოველისა, რომელშიაც გრილდება ადამიანის სული, ბოროტებისა და ბიწიერების სხივებით დამწვარ ქვეყნობის უღაბნოში.

ზეცაჲ.. ზეცა შესაძლებელია მხოლოდ ქრისტესთან. თუ იგი არ არის იქ, არც ზეცა იქნება. ქრისტეს წართმევა ზეცისაგან ნიშნავს ზეცის უარყოფას. ქრისტე და ზეცა... ეს ორი სიტყვა შეიძლება შევადაროთ თანასწორობის ნიშნით. ქრისტე თვით არის ზეცა. მისი მოწაფის იოანეს მსგავსად, ქრისტეს ღვთაებრივ გულზე მიყრდნობა, შესუნთქვა მისი ღვთაებრი-

ვი ცხოვრების სუნნელებისა, — იი ეს არის ზეცა, აი ეს არის ნეტარება ცხოვნებულთა. ცოდვილი იმისთვის იტანჯება, რომ იგი უფარგისია ამ ნეტარებისათვის, მოუმზადებელია მისთვის. ეს ნეტარება მისთვის გაუგებარი და უცხოა.

ქრისტე... ვიმეორებ, ბევრი თქმულა და დაწერილა იმაზე; შემდეგშიაც ბევრი ითქმის და დაიწერება; მაგრამ მისი წარმოცალიერება შეუძლებელია. ვის შეუძლიან ზღვის წარმოცალიერება? ქრისტე კი ზღვა არის უფსკრული, და ვერავის ძალუძს ამ ზღვის სრულიად ამოცალიერება.

ქრისტე გარეგნულად წავიდა ჩვენგან, მაგრამ სულიერად იგი ეხლაც ჩვენთან ცხოვრობს. სადაც ორი ან სამია შეგროვილი ჩემის სახელით, სთქვა იმან, მე იმათ შორის ვარ.

ეკლესია, — ეს კრება ქრისტეს მორწმუნეთა, — განაგრძობს ქვეყანაზედ ქრისტეზე ქადაგებას. ეკლესიას უჭირავს ხელში ბრწყინვალე ლამპარი, რომლის ცეცხლითაც აღანთებს ხალხის გულში სარწმუნოებას და სიყვარულს ქრისტეს მიმართ. რა დიდი წოდებაა ქრისტიანი! იგი განმაგრძობელია ქრისტეს საქმისა; იგი ცხოვარია ქრისტეს სამწყსოში; იგი მომუშავეა ქრისტეს ვენახში; იგი ვარსკვლავია ქრისტეს ზეცისა; იგი მოზიარეა ქრისტეს ტრაპეზისა. განა არის კიდევ წოდება უფრო მაღალი და წმინდა ქრისტიანის წოდებაზე? გაშინჯეთ ყველა წოდებანი, რომელნიც კი არსებობდნენ ქვეყნად აქნობამდის, და თქვენ ვერ ნახავთ იმის მსგავსს. ამ წოდებაში შეერთებულია ზეცა და დედა-მიწა.

ექვს გარეშეა ის, რომ ეკლესია, როგორც ხალხის კავშირი ქრისტეს მიერ, ყველა კავშირებზე მაღლა სდგას. ჩვენი გულის ყველა გრძობებში სიყვარული ყველაზე დიდი და წმინდაა. ამისთვის კავშირი, ამ გრძობაზე დაფუძნებული, არის წმიდა და მაღალი. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ხალხის ცოდვებმა დააბნელეს სიყვარული და მით დაასუსტეს ძლიერება საეკლესიო კავშირისა. მაგრამ უნდა გვრწამდეს და ვიმედოვნებდეთ, რომ სიყვარული, რომელიც ესე შემცირდა ქრისტიანებ-

შიაც კი, ხელმეორეთ აენტება ჩვენს გულში. ჩვენ ხელმეორედ შეგვიყვარდება ქრისტე მთელის ჩვენის არსებით, და ქრისტესთან ერთად შეგვიყვარდება ყველა ჩვენი მოყვასი, შეგვიყვარდება არა ერთა და სიტყვით არამედ საქმიანთა და ქეშპარიტებითა. ვის არ გამოუცდია განსაკუთრებითი სულის ამალღების მდგომარეობა, განსაკუთრებითი სიხარული შემდეგ წმინდა საიდუმლო ზიარების მიღებისა? ეს იმის გამო ხდება, რომ ქრისტე შემოდის ჩვენ სულში და სცხოვრობს ჩვენთან. ჩვენ რომ ცვლილობდეთ ეს სიხარულის მდგომარეობა ქრისტესთან შეერთებისა შეკინარჩუნოთ და განვაკითხოთ, ჩვენ მაშინ აღარ გვეცოდინებოდა რა არის მოწყენა, სასოწარკვეთილება, ბოროტება, განძვინება. ჩვენ მაშინ გვეცოდინებოდა მხოლოდ ერთი საუცხოვო კეთილი გრძობა სიყვარულისა, და მითი ვიცხოვრებდით. მაშინ ჩვენი საერთო ცხოვრება ქრისტეს მორწმუნეთა, წარმოადგენდა იმ სანატრელი ხანის განხორციელებას, რომელსაც ასე თავისებურად იცნებობს ხალხი, სარწმუნოების უარის მყოფელი.

თუ ასეთ ხალხს ჩვენთან არ უნდა ყოფნა, შეიძლება ამის მიზეზი ჩვენვე ვიყუეთ. იქნება იმათ დაინახეს, რომ ჩვენ ზეცაზე გვიყვარს ლაპარაკი, მაგრამ ზეცის მცნებების თანახმად კი არ ვცხოვრობთ; და ამისთვის წავიდნენ ჩვენგან, წავიდნენ ახალი იდეალების საძებნელად, თავიანთი ზეცის საძებნელად. ქრისტეანებს რომ დაეწყეთ ქრისტეს სარწმუნოების თანახმად ცხოვრება, ქრისტიანობრივი სიყვარული გაეხადათ თავიანთი ცხოვრების საფუძვლად და მოეწყოთ თავიანთი ცხოვრება ამ სიყვარულის თანახმად, მაშინ ურწმუნოთაგან ბევრი მოვიდოდა ჩვენთან და აღარ მოინდომებდნენ ეკლესიის თავის დნებებას.

ყოველის - შეძლებელია ქრისტე! შენ არ გინდა ძალი დაატანო ჩვენს თავისუფლებას. შენ დაგვიბრდი მოსვლას ჩვენთან პირველსავე მოწოდებაზე. მოვედ ჩვენთან, შთაბერე შენი ცხოველს მყოფელი სული იმ ძვლებში, რომლებიც, გაფანტულები არიან შენ ეკლესიის გარეშე, და განაცხოველე ისინი. განაცხოველე

ყოველი შენი სახელის მოსივი; რათა აღსდგეს ჩვენს წინაშე მთელის თავის ბრწყინვალეობით შენი ღიადი და წმინდა სახე, რათა შეგროვდნენ შენს გარშემო შენი მოწაფეები, და ასწავლო იმათ შენი სიყვარულისა და აღიერისთ სავეს სიტყვით. მაშინ შენი ეკლესია ხელმეორედ დაჰბერავს საამურ გრილს ნიავს, დაჰბერავს სიახლეს, და მაშინ ხელმეორედ მოვლენ შენთან ყველა მხრიდან ხალხები, და შეადგენენ ერთ ძმურ ოჯახს...

მღვდელი იოანე ლუკიანოვი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამდლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

1909 წლის განმავლობაში სარწმუნოებრივ საზოგადოებრივი ჟურნალი

„ზინაური საქმეები“

გამოვა შემდეგი პროგრამით:

წერილები საღვთისმეტყველო, პოლიტიკურ, ეკონომიურ სოციალურ საკითხების შესახებ. ქართული მწერლობა საღვთისმეტყველო და საერო. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. კორრესპონდენციები და შენიშვნები. ახალი ამბები, ტელეგრაფები და სხვა.

წლიური ფასი 4 მანეთი.

ჩელის მოწერა შეიძლება:

ქუთაისში რედაქტორთან (Казаковск., № 17), თბილისში გამომცემელ იოსებ ლეჟავასთან (Армян. базарь), ფოთში ივანე სუხაშვილთან (არქიერის სასახლე), საჩხერეში მასწ. იასონ ლამბაშიძესთან, ქიათურაში მღვდ. ბეს. ვაშაძესთან, ლუშეთში მღვ. ნ. კანდელაკთან.

წლიური ფასის განაწილება შეიძლება ასე:

თავიდან ორი მანეთი, და აკნასის დაძლეკს ორი მანეთი.

ნახევარი წლით გაზეთი ღირს ორ მანეთ ნახევარი.